Image not found or type unknown

საიას მიერ დაფუძნებული იურიდიული განათლების ხელშეწყობის ფონდი იწვევს ჟურნალისტებს ტრენინგზე: "მედია და არჩევნები".

ტრენინგს ორგანიზებას უწევს საიას მიერ დაფუძნებული იურიდიული განათლების ხელშეწყობის ფონდი.

ტრენინგის ფინანსური მხარდამჭერია ამერიკის შეერთებული შტატების საელჩო საქართველოში, დემოკრატიის განვითარების მცირე საგრანტო პროგრამის ეგიდით, პროექტის - ძლიერი მედია სამართლიანი არჩევნებისათვის ფარგლებში.

პროექტის ფარგლებში ბოლო ტრენინგი ჩატარდება 19-21 სექტემბერს, ლოპოტას ტბაზე. თითოეულ ტრენინგში მონაწილეთა რაოდენობა განისაზღვრება 22-24 ჟურნალისტით და მასში მონაწილეობა შეუძლიათ ჟურნალისტებს მთელი საქართველოს მასშტაბით. ტრენინგი ორდღიანია.

ტრენინგზე განხილული იქნება შემდეგი თემები:

- არჩევნების მნიშვნელობა დემოკრატიულ საზოგადოებაში და მედიის როლი
- არჩევნების სამართლებრივი საკითხები
- წინასაარჩევნო კამპანია და პროცედურები
- არჩევნების დღის პროცედურები და წესები
- საარჩევნო დავების განხილვა
- მედია ორგანიზაციების მოვალეობები პოლიტიკური რეკლამების გაშუქებისას

ტრენინგს წარუძღვებიან მაღალკვალიფიციური ექსპერტები საარჩევნო საკითხებში.

ტრენინგში მონაწილეობის მსურველებმა უნდა შეავსონ თანდართული "პროგრამის მონაწილის ანკეტა" და გადმოაგზავნონ არაუგვიანეს**15 სექტემბრის 12 საათისა**,

ელექტრონული ფოსტის შემდეგ მისამართზე:metreveli@gyla.ge

პრეტენდენტები შეირჩევიან შევსებული აპლიკაციის განხილვის შედეგად.

ტრენინგთან დაკავშირებული ყველა ხარჯი (სასტუმროში ცხოვრება, კვება, მგზავრობა) უზრუნველყოფილი იქნება ტრენინგის ორგანიზატორის - იურიდიული განათლების ხელშეწყობის ფონდის მიერ. დავუკავშირდებით მხოლოდ შერჩეულ კანდიდატებს.

დამატებითი კითხვების შემთხვევაში შეგიძლიათ დაგვიკავშირდეთ.

საკონტაქტო პირი:

ნინო ბაღაშვილი - 577 31 43 85
თამარ მეტრეველი - 599 51 00 63